„ფინანსური რისკის დაზღვევის შესახებ“
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № FRI/11-0153
(საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტია)

ერთი მხრივ, **შპს სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი“** (შემდეგ – „მზღვეველი“), რომლის მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №14², ხოლო საიდენტიფიკაციო კოდი: 404858631, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის – ბ-ნი **არმაზ თავაძის** სახით,

და
მეორე მხრივ, **შპს “საგზაო ტექნიკა“** (შემდეგ – „დამზღვევი“), რომლის მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, გაგარინის 29ა, ხოლო საიდენტიფიკაციო კოდი: 205140257, წარმოდგენილი მისი დირექტორის – ბ-ნი **გიორგი როგავას** სახით.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგ სახელშეკრულებო პირობებზე:

1. ძირითადი დებულებები

1.1. მზღვეველი (გარანტი) დამზღვევის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს ვალდებულებას, გადაუხადოს მოსარგებლეს (ბენეფიციარს) 1.2 პუნქტით განსაზღვრული ფულადი თანხა გადახდის შესახებ მოსარგებლის მოთხოვნის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი სათანადოდ ვერ ასრულებს მოსარგებლის წინაშე ნაკისრ შემდეგ ძირითად ვალდებულებას:

- **დარიალის ხეობაში (ზემო ლარსი) სამონასტრო კომპლექსის მშენებლობისათვის დამატებითი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა.**

1.2. სადაზღვევო თანხის (გარანტიის) ოდენობა შეადგენს არა უმეტეს **382592 (სამას ოთხმოცდაორი ათას ხუთას ოთხმოცდათორმეტი) ლარს.**

1.3. მოსარგებლე (ბენეფიციარი) არის: **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.**

1.4. გარანტიის სანაცვლოდ დამზღვევი მზღვეველს უხდის სადაზღვევო პრემიას **9374 ლარს** ოდენობით, ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 საბანკო დღის ვადაში.

1.5. ხელშეკრულება ძალაშია: **2011 წლის 10 მარტიდან – 2011 წლის 30 სექტემბრის** ჩათვლით.

1.6. მზღვეველს მოსარგებლის მოთხოვნა უნდა წარედგინოს შემდეგი ფორმით, შემცველობით და ვადაში:

- წერილობითი ფორმით;
- იმის მითითებით, თუ რაში გამოიხატება დამზღვევის ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა ეს გარანტია;
- დამზღვევის მიერ ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობისა და ზიანის დამადასტურებელი დოკუმენტების თანდართვით;
- 1.5 პუნქტით განსაზღვრული პერიოდის დასრულებამდე.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. მზღვეველი ვალდებულია:

2.1.1. გასცეს დამზღვევზე ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი;

2.1.2. მოსარგებლის დასაბუთებული მოთხოვნის მიღების საფუძველზე აუნაზღაუროს მოსარგებლეს ზარალის თანხა, მაგრამ არა უმეტეს სადაზღვევო თანხისა;

2.1.3. მოსარგებლის მოთხოვნის მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ დამზღვევს და გადასცეს მოთხოვნის ასლი;

2.1.4. განიხილოს მოსარგებლის მოთხოვნის დასაბუთებულობა და გონივრულ ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე;

2.1.5. დაუყოვნებლივ აცნობოს მოსარგებლეს და დამზღვევს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი, თუ მოსარგებლის მოთხოვნა არ შეესაბამება ამ ხელშეკრულების პირობებს;

2.1.6. წერილობით შეატყობინოს მოსარგებლეს, თუ დამზღვევი არღვევს სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებას, რის შესაბამისადაც მზღვეველი თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან.

2.2. მზღვეველი უფლებამოსილია:

2.2.1. მოთხოვოს დამზღვევს მოსარგებლის მიმართ ძირითადი ვალდებულების ჯეროვანი შესრულება;

2.2.2. მოთხოვოს დამზღვევს სადაზღვევო პრემიის გადახდა;

2.2.3. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის ან არასრულად გადახდის შემთხვევაში გათავისუფლდეს თავისი, როგორც გარანტის, ვალდებულებისაგან;

2.2.4. არ დააკმაყოფილოს მოსარგებლის მოთხოვნა, თუ მოთხოვნა არ შეესაბამება ამ ხელშეკრულების პირობებს;

2.2.5. მოითხოვოს დამზღვევისგან რეგრესის წესით იმ თანხის გადახა, რომელიც აუნაზღაურდა მოსარგებლეს ამ ხელშეკრულების საფუძველზე.

2.3. დამზღვევი ვალდებულია:

2.3.1. კეთილსინდისიერად შეასრულოს როგორც მზღვეველის წინაშე ნაკისრი, ისე მოსარგებლის წინაშე ნაკისრი ძირითადი ვალდებულებანი;

2.3.2. დააკმაყოფილოს მზღვეველის რეგრესული მოთხოვნა იმ თანხაზე, რომელიც მზღვეველის მიერ აუნაზღაურდა მოსარგებლეს ამ ხელშეკრულების საფუძველზე;

2.3.3. მოსარგებლის მიმართ ძირითადი ვალდებულების შესრულება წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს.

2.4. დამზღვევი უფლებამოსილია:

2.4.1. მზღვეველისაგან მიიღოს მოსარგებლის მოთხოვნის ასლი;

2.4.2. მოითხოვოს მზღვეველისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა ჯეროვანი შესრულება.

3. დავა და ზიანის ანაზღაურება

3.1. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საფუძველზე წამოჭრილი დავა წყდება მოლაპარაკებით. თუ შეთანხმება ამ გზით ვერ მიიღწა, მაშინ დავა გადაწყდება

არდი ჯგუფი
სადაზღვევო კომპანია

ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი

№ FRI/11-0153 09.03.2011 წ.

სახელმწიფო შესყიდვის საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტია

გარანტი:	შპს სადაზღვევო კომპანია "არდი ჯგუფი"
პრინციპალი:	შპს „საგზაო ტექნიკა“
ბენეფიციარი:	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
გარანტიის თანხა:	382592 (სამას ოთხმოცდაორი ათას ხუთას ოთხმოცდათორმეტი) ლარი
საბანკო გარანტიის ვადა:	2011 წლის 10 მარტიდან 2011 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.
პროექტი:	დარიალის ხეობაში (ზემო ლარსი) სამონასტრო კომპლექსის მშენებლობისათვის დამატებითი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა

1. გარანტი კისრულობს ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე, მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გადაუხადოს მას საავანსო ანგარიშსწორების წესით პრინციპალისთვის გადახდილი თანხა, მაგრამ არა უმეტეს გარანტიის თანხისა, პრინციპალის მიერ პროექტით ნაკისრი სახელმწიფო შესყიდვის სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში.
2. გარანტიის თანხა მცირდება პრინციპალის მიერ ბენეფიციარისათვის საქონლის, მომსახურებისა თუ სამუშაოების ფაქტობრივი მიწოდების პროპორციულად.
3. ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა გარანტს უნდა წარედგინოს ამ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში.

ა. თ

არმაზ თავაძე
გენერალური დირექტორი

საქართველო, თბილისი, 0160, ა.კ. ყაზბეგის 14ა
ტელ.: +995 (32) 518 516 / ფაქსი: +995 (32) 518 516
office@ardi.ge